ღია მმართველობა საქართველოს ფორუმში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საჯარო კონსულტაციების მოწყობის თაობაზე:

1) მთავრობის უახლოეს სხდომაზე იუსტიციის სამინსიტრომ გააკეთოს პრეზენტაცია OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ;
2) მთავრობამ უზრუნველყოს საჯარო უწყებების მაქსიმალური ჩართვა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში;
3) განისაზღვროს მთავრობის რესურსი (ფინანსური და ადამიანური), რომელიც გამოიყოფა საჯარო კონსულტაციის პროცესისთვის;
4) საქართველოს პრემიერ მინისტრმა მოაწყოს პრეს-კონფერენცია ანტიკორუფციულ საბჭოს სამდივნოსთან და OGP-ში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს OGP-ში მონაწილეობის შესახებ;
5) მთავრობის PR-მენეჯერმა მთავრობის მთავარ ვებ-გვერდზე - government.gov.ge-ზე შექმნას ბანერი OGP-ის შესახებ, რომლიდანაც ვიზიტორი მოხვდება იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილ OGP-ის გვერდზე;
6) საქართველოს მთავრობამ შექმნას ღია მმართველობის პარტნიორობისადმი მიძღვნილი ვებ-გვერდი (შესაბამისი დომეინის რეგისტრაციით), სადაც თავმოყრილი იქნება ყველა ინფორმაცია OGP-ის შესახებ: რას წარმოადგენს OGP, რატომ არის ის მნიშვნელოვანი, OGP-სთან დაკავშირებული დოკუმენტები და მასალები, OGP-სთან დაკავშირებული მოვლენები და ღონისძიებები, OGP-ში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, ელ-ფოსტის სიაში გაწევრიანება; სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული ინფორმაცია (ანგარიშები და შეფასებები) და სხვა
7) ინფორმაცია ამ გვერდის შესახებ კოორდინირებულად გავრცელდეს სოციალურ ქსელებში;
8) იუსტიციის სამინისტროს OGP-ის გვერდზე ხელმისაწვდომი იყოს სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის გაგზავნილი კომენტარები გვერდის ვიზიტორისთვის;
9) შეიქმნას OGP-ს ვებ-გვერდის სარეკლამო რგოლი, რაზეც ერთად იმუშავებენ მთავრობა და არასამთავრობო ორგანიზაციები;
10) საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავიდეს ერთი ან რამდენიმე გადაცემა OGP-ს შესახებ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
11) რეკლამა გავიდეს იუსტიციის სახლებში და საზოგადოებრივ ცენტრებში;
12) საინფორმაციო ლიფლეტები და ფლაერები დაიბეჭდოს და გავრცელდეს OGP-ის შესახებ;
13) შეიქმნას ე.წ. mailing list, რომელზეც დროდადრო დაიგზავნება ინფორმაცია OGP-ს შესახებ (საჯარო სექტორი, ბიზნეს სექტორი, აკადემია, სამოქალაქო სექტორი);
14) ყველა საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე დაიდოს OGP-ს ბანერი, რომელიც მომხმარებელს OGP-ს ვებ-გვერდზე გადაამისამართებს;
15) გაიმართოს საინფორმაციო კამპანია საჯარო სამსახურებისთვის, მედიისათვის, არასამთავრობო სექტორისთვის, ბიბლიოთეკებისათვის, სტუდენტებისთვის და რეგიონებში სხვადასხვა ჯგუფებთან იმის შესახებ, თუ რა არის OGP.
16) კონსულტაციების პროცესი (საჯარო კონსულტაციის სტრატეგია):

OGP-ის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით და ასევე, მთავრობის სამოქმედო გეგმის განახლებისთვის იდეების და პრიორიტეტების განსასაზღვრად სამხარეო ადმინისტრაციების ცენტრებში შედგეს შეხვედრები შემდეგ ჯგუფებთან:

ა) ადგილობრივი მედია ;
ბ) უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები;
გ) ადგილობრივი NGO-ები;
დ) საკრებულოს- გამგეობის წარმომადგენლები;
ე) პოლიტიკური პარტიები;
ვ) ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები;
ზ) სკოლები;
თ) ბიბლიოთეკარები;
ი) პროფკავშირები;
კ) უმცირესობები.

დონორთა მოსაზიდად, თბილისში, ასევე მოხდეს შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან.

17) შეხვედრებისთვის გამოყოფილმა სპეციალურმა საჯარო მოსამსახურემ (მდივანმა) ჩაიწეროს ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და დისკუსია, იდეა, დამსწრე საზოგადოების მოთხოვნა, და ასე შემდეგ; აღნიშნული ჩანაწერი უდნა გამოქვეყნდეს ზემოთხსენებულ OGP-სთვის შექმნილ ვებ-გვერდზე
18) საჯარო კონსულტაციებში იმ მოქალაქეების ჩართულობის მიზნით, ვინც ვერ ახერხებს ღონისძიებაზე დასწრებას, უზრუნველყოფილი იყოს კონსულტაციის შეხვედრების Live Streaming (ვიდეო და ტექსტური); ასევე მოქალაქეთა მიერ კომენტარებისა და კითხვების დასმა შესაძლებელი იყოს Twitter-ზე შექმნილ მისამართზე - #OGP Georgia.

საჯარო კონსულტაციის პროცესი განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

1. მოსამზადებელი პერიოდი: 1 მარტი - 15 მარტი;
2. კონსულტაციის პროცესი: 15 მარტი - 15 აპრილი (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ახალციხე, ბათუმი, ოზურგეთი, ფოთი, ზუგდიდი, გორი, თელავი)
   1 კვირა განისაზღვროს საჯარო კონსულტაციისთვის თბილისისთვის.
   2-2 დღე სხვა დანარჩენი ქალაქებისთვის.

ფორუმის წევრი არასამთვრობო ორგანიზაციები:

- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
- ჯამპსტარტ საქართველო
- ეკონომიკური პოლიტიკისა კვლევის ცენტრი